ცნობის ფურცელი

№ 2176 | სამშაბათი, 10 ივნისი | 1896—1903 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2176

ხელისმოწერის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელისმოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში გოლოვინის ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზედ უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-დე საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი
„ცნობის ფურცელი“
კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის ვ. ს. მუსხელაშვილისა.
(გედევანიშვილის სახლი)
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

დ ი ლ ი თ:

მ. მ. ციცინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღნინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

ვ. ს. მადალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ბ. პ. ბაალშვინიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. ზედგინიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ზ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

ზრ. მ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი თ:

ბ. ზ. მადალაშვილი—შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუსხელაშვილი—თვალის სნეულ. ორშაბ. ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი ზ. დ. ნასარიძე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, №-21. (ვაგზალის ქუჩის დასაწყისში.)
ტელეფონი № 274 (წლ.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი
ივანე პავლეს ძე
ახალშენიშვილი
იღებს ყოველ-დღე კბილით სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—3-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.
ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ე ქ ი მ ი
ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 612

საზღვარ-გარედ

—

სერბია. დეპეშებიდან მკითხველს ეცოდინება, რომ ახალ მეფის ასარჩევად მოწვეულმა დიდმა სკუპშინამ (ხალხის წარმომადგენელნი) სხვათა შორის, დაადგინა 1888 წლის 22 დეკემბრის კონსტიტუციის აღდგენა. ამ კონსტიტუციით, საკანონმდებლო უფლება ეკუთვნის მეფესა და ხალხის წარმომადგენლობას ერთად. ინიციატივის უფლება აქვს მეფესაც და ხალხის წარმომადგენლებსაც. აღმასრულებელი უფლება ეკუთვნის მეფეს, რომელსაც სისრულეში მოჰყავს ეს უფლება პასუხის მგებელ მინისტრების საშუალებით. მინისტრებს ნიშნავს და სცვლის მეფე. მეფე ნიშნავს ყველა თანამდებობის პირთ; იგი ჯარის მთავარ-სარდალია და სამეფოს წარმომადგენელი საერთაშორისო დამოკიდებულებაში; მეფე მოვალეა შეატყობინოს ხალხის წარმომადგენელთ, თუ რა შედეგი მოსდევს ხოლმე მის გარეშე პოლიტიკას; სკუპშჩინის მორიგ თუ საგანგებო კრებას იწვევს მეფე; სკუპშჩინის დამთხოვიც მეფე არის, მაგრამ იგი მოვალეა ორის თვის განმავლობაში დანიშნოს ახალი არჩევნები. მეფის ბრძანებას რომ ძალა ექმნეს, იგი უთუოდ სათანადო მინისტრისაგან უნდა იქმნეს ხელმოწერილი.

სკუპშჩინა არის ხალხის წარმომადგენლობა. სკუპშჩინა არის ჩვეულებრივი და დიდი. სკუპშჩინა შესდგება ხალხისაგან არჩეულ დეპუტატებისაგან; არჩევანი ფარული და პირდაპირია. ჩვეულებრივი საკანონმდებლო ხანა სკუპშჩინისა უდრის სამ წელს. სკუპშჩინის გადაწყვეტილება რომ კანონიერი იქმნეს, საჭიროა ყველა დეპუტატების ნახევარის და კიდევ ერთის დეპუტატის დასწრება; თუ ხმები შუაზე გაიყო, წარმოდგენილი წინადადება უარყოფილად ითვლება.

კანონ-პროექტის განხილვა იწყება სკუპშჩინაში მას შემდეგ, რაც სახელმწიფო საბჭომ განიხილა და თავისი აზრი გამოსთქვა; მხოლოდ ხარჯთ-აღრიცხვა და ჩვეულებრივი საფინანსო პროექტები შედის პირდაპირ სკუპშჩინაში განსახილველად. სკუპშჩინის ნება-დაურთველად არ შეიძლება არც გამოქვეყნება, არც გამოცვლა, არც განმარტება რომელიმე კანონისა. ყველას აქვს უფლება წარმოადგინოს სკუპშჩინაში პეტიცია ან საჩივარი. სკუპშჩინის ნება დაურთველად ვერც ერთ დეპუტატს ვერ მისცემენ პასუხისგებაში, რაც უნდა დანაშაული მიუძღვოდეს.

დიდ სკუპშჩინაში ირჩევენ ორჯელ მეტ დეპუტატებს, ვიდრე ჩვეულებრივში. დიდი სკუპშჩინა იკრიბება, როცა გადასაწყვეტია ტახტის მემკვიდრეობის კითხვა, დასანიშნია რეგენტები, გამოსაცვლელია კონსტიტუციის რომელიმე მუხლი ან როცა მეფეს საჭიროდ მიაჩნია ითათბიროს დიდ სკუპშჩინასთან.

მინისტრები პასუხის მგებელნი არიან მეფისა და სკუპშჩინის წინაშე ყველა თავის მოქმედებაში თანამდებობის ასრულების დროს.

სახელმწიფო საბჭო შესდგება თექვსმეტის წევრისაგან; რვა წევრს ირჩევს მეფე იმ 16 კანდიდატთაგან, რომელთაც სკუპშჩინა ირჩევს, და რვას—სკუპშჩინა მეფისაგან წარმოდგენილ 16 კანდიდატთაგან. ამ გვარად არჩეული წევრი რჩება თავის თანამდებობაში სიკვდილამდე.

სახელმწიფო საბჭოს შემდეგი ფუნქციები აქვს: მთავრობის წინადადებით, უნდა შეიმუშაოს კანონებისა და სამდმინისტრაციო განკარგულებათა პროექტები და გამოსთქვას აზრი იმ კითხვების შესახებ, რომელსაც მთავრობა წარუდგენს; საბჭომ უნდა განიხილოს ის კანონ-პროექტები, რომელსაც მთავრობა სკუპშჩინაში შესატანად ამზადებს ან რომელიც სკუპშჩინის ინიციატივით არის წარმოდგენილი.

ყველა სერბი თანასწორია კანონის წინაშე. აკრძალულია მიცემა და მიღება აზნაურობისა და ტიტულებისა. ინდივიდუალური თავისუფლება ყოველ მოქალაქისა უზრუნველ-ყოფილია კონსტიტუციით: თუ სასამართლოს დადგენილებით არა, ისე ვერც ერთ სერბს ვერ დაატუსაღებენ. კერძო სახლი ხელ-უხლებელია. გარდა იმ შემთხვევებისა, რომელიც კანონში არის აღნიშნული, მთავრობის აგენტებს უფლება არა აქვთ კერძო სახლში შევიდნენ. სარწმუნოების საქმეში ყველა სრულებით თავისუფალია; სწავლების საქმეც აგრეთვე თავისუფალია; სერბებს უფლება აქვთ შეკრებისა უიარაღოთ; ნებადართულია ასოციაციები, რომელთაც კანონის წინააღმდეგი მიზანი არა აქვთ; უცხოელ პოლიტიკურ დამნაშავეთა გაცემა აკრძალულია.

◆ პეტრე ყარაგიორგიევიჩს რამდენსამე ჟურნალისტთან ულაპარაკნია, სანამ მეფედ აირჩევდნენ. მოგვყავს ერთი მისი ნალაპარაკევი.

“ჩემ მომხრეებს კარგი ორგანიზაცია ჰქონდათ სერბიაში და მეც განუწყვეტელი დამოკიდებულება მქონდა ამ ორგანიზაციასთან.

ფელეტონი

—

ჰერხარტ ჰაუპტმანი

(კრიტიკული ეტიუდი)

V

(შემდეგი *)

თანამედროვე ოჯახურ განწყობილებას ეხება ჰაუპტმანი „მიხაილ კრამერ“-შიც. ამ პიესაში ჰაუპტმანი გვისურათებს უმთავრესად მამების და შვილების არა ნორმალურ დამოკიდებულებას. მხატვარს მიხაილ კრამერს ჰყავს ნიჭიერი, მაგრამ ტანით მახინჯი, შვილი არნოლდი. იმათ შორის ძლიერ ცუდი დამოკიდებულებაა. თხუთმეტ წლამდე არნოლდს მამა სცემდა, სასტიკად ეპყრობოდა და, საზოგადოდ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა იმის სულიერ მდგომარეობას, სულიერ მოთხოვნილებას. ამიტომ არნოლდს ძლიერ ეშინოდა მამისა და ემალებოდა კიდევაც. თავისუფალ დროს რესტორანებში ატარებდა და ბოლო დროს კი სახლში ძლიერ იშვიათად ბრუნდებოდა. უფრო ხშირად დადიოდა ერთ რესტორანში, რადგან არნოლდს ძლიერ შეუყვარდა ამ რესტორანის პატრონის ქალი, თუმცა ქალი სრულებით არ თანაუგრძნობდა, (რადგან არნოლდი მახინჯი იყო) და ხშირად დასცინოდა კიდეც. მიუხედავად ამისა, არნოლდი თითქმის ყოველ ღამეს ამ რესტორანში ათენებდა. კრამერს ძლიერ უყვარს თავისი შვილი, იმისთვის, როგორც ნამდვილ მხატვრისთვის, ხელოვნება წმიდათა-წმიდაა, ჰსურს, რომ შვილი, რომელიც, როგორც თვითონ ამბობს, იმაზე გაცილებით უფრო ნიჭიერია, შესანიშნავი კაცი გამოვიდეს, ჰსურს, თუ თვითონ არა, არნოლდი მაინც შეიქმნეს ხელოვნების დამამშვენებელი; მაგრამ ამ სურვილის მიუხედავად, ის მაინც მტრულად ეპყრობა შვილს, სცემს, ლანძღავს. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ დაახლოვება შეუძლებელია. არნოლდს ეშინიან მამისა, ემალება და ამიტომ იმის ამხანაგად ვერ გახდება, არ ესმით ერთმანეთის სულის კვეთება, არ ესმით თუ რა აწუხებს, ან ახარებს იმათ. არნოლდის მეტად ნაზი ბუნება ვერ შეურიგდა ასეთ მდგომარეობას, იმან ვერ მოინელა ამდენი სულიერი ტანჯვა, და ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც წაეჩხუბა რესტორანში ვიღაც გათახსირებულ კაცებს, როდესაც იმათ საშინლად შეურაცხჰყვეს იმისი წმინდა გრძნობანი, თავი მოიკლა და ამით სამუდამოდ განთავისუფლდა ტანჯვისაგან.

ამის შემდეგ-კი შეიგნო კრამერმა თავისი შეცდომა და გულწრფელად სთქვა, მე ვარ დამნაშავე, სრულიად ვერ გავიგე შვილის მწუხარება, სამაგლად ავზარდე ბუნებით ნიჭიერი არნოლდიო. რასაკვირველია, კრამერი ძლიერ სწუხს, რომ დაჰკარგა საყვარელი შვილი, რომლისგანაც ბევრ რამეს მოელოდა, კარგად იცოდა, რომ იმისი შვილი ფრიად ნიჭიერი კაცი იყო და, მაშასადამე, შეეძლო ხელოვნების გამოჩენილი მსახური გამოსულიყო. სწუხს, მაგრამ მაინც არ ესმის, რისთვის დაშორდნენ ისინი ერთმანეთს, რისთვის არ ეკარებოდა იმას შვილი. შეძრწუნებული ამ მოულოდნელ შემთხვევით, კრამერი თავის ყოფილ მოწაფეს ლახმანს—იმ კუბოს წინ, რომელშიაც არნოლდის გვამია, ეუბნება, რომ „სიკვდილი ისეთი მშვიდი რამ არის, როგორიც სიყვარული. გესმით, სიკვდილი ცილის წამებით არის სავსე და ეს უდიდესი ტყუილია დედა მიწაზე. სიკვდილი ძლიერ მშვიდი ფორმაა ცხოვრებისა: ის მუდმივის სიყვარულის შედეგია“. კრამერმა ეხლა შეიგნო სიკვდილის მნიშვნელობა, შეიტყო, რომ კუბოს წინ ადამიანს ყოველივე წვრილმანი ავიწყდება და იმისი სული სიყვარულით ივსება. ის სცდილობს როგორმე შეურიგდეს არნოლდის სიკვდილს, მაგრამ ბოლოს მაინც პესსიმისტურად ათავებს თავის გრძელ სიტყვას: „რომელ ნაპირას მივდივართ ჩვენ? რისთვის ვეგებებით ჩვენ სიხარულით უცნობს, ჩვენ, პატარა კაცები, რომელნიც დამოკიდებულნი ვართ ულმობელ ბედისაგან. ვითომ ჩვენ ვიცით, სად მივდივართ! მეც მიხაროდა, მაგრამ რა მესმოდა მაშინ? მე ვიცი, რომ არ მომელის დედამიწაზე სადღესასწაულო რამ, არც გამიღიმებს ცა, არც ის, არც ეს, მაგრამ რა, რა მომელის?“ ასე თავდება ეს საყურადღებო დრამა.

როგორცა ვსთქვით, პიესაში დახატულია მამებისა და შვილების განწყობილებანი. პიესიდან სჩანს, როგორ იღუპებიან ნიჭიერი, ნაზის ბუნების მქონე ადამიანები ცუდის აზრისა და არა კაცურ ურთი-ერთობის გამო. მამებს და შვილებს არ ესმით ერთმანეთის მწუხარება, ერთმანეთის სურვილი და მისწრაფებანი. ან როგორ უნდა ესმოდეთ, როდესაც მამას არა ჰსურს შვილს შეჰხედოს ისე, როგორც ადამიანს, პიროვნებას, როდესაც მამები არავითარ პატივს არა სცემენ შვილებს, ეპყრობიან როგორც უბრალო ნივთს, მანქანას; მამებს არა ჰსურთ გაიგონ, რომ ახალგაზდებსაცა აქვთ საკუთარი მოთხოვნილებანი, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებლად საჭიროა იმათთვის, რომ ცემით ვერ აღზრდიან ადამიანს. ასეთი დამოკიდებულება გამეფებულია დღევანდელ საზოგადოების მამებსა და შვილებს შორის. ყოველ ფეხის გადადგმაზე ვხედავთ ასეთ განწყობილებას და ამ განწყობილებათა შედეგს, რომელიც გამოიხატება ან თვითმკვლელობით ან და ზნეობრივ და გონებრივ სიჩლუნგით.

დავუბრუნდეთ ისევ დრამის შინაარსს. კრამერს, სულით და გულით მხატვარს, ძლიერ უყვარს შვილი, ჰსურს გამოჩენილი მხატვარი გამოვიდეს და ამავე დროს ძლიერ სასტიკად ეპყრობა, რისთვისაც არნოლდი ვერ უახლოვდება მამას და თავისუფალ დროს რესტორანებში ატარებს. ყველას უკვირს არნოლდის ხასიათი, ყველას უკვირს, რად დაეცა არნოლდი, მიზეზს კი არავინ კითხულობს, არავინ არა ჰფიქრობს შეუმსუბუქოს საწყალ ადამიანს აუტანელი მდგომარეობა, არავინ არა ჰფიქრობს, რომ საჭიროა იმის გულში ჩახედვა, საჭიროა ნუგეშის ცემა, ადამიანური მოპყრობა. არ ვამბობთ, რომ „მამებსა და შვილებს“ შორის უთანხმოება მოისპობა, სრულიადაც არა. ცხადია, რომ ეს უთანხმოება ყოველთვის იქმნება, რადგან,

---

*) იხ. „ცნობის ფურცელი“ № 2173.

მეორე მხრივ, მე ვიცოდი ხალხის უკმაყოფილება უკიდურესობამდე იყო მისული. მაგრამ ჩემთვის გადაკვრითაც არავის შეუტყობინებია, რომ ასეთი ამბები მოხდებოდა. არაფრით ხელი არ მომიმართავს ამ საქმისათვის; ჩემთვის იგი სრულებით მოულოდნელი იყო...

რაც შეეხება იმას, თუ როგორ ვუცქერი მომხდარ ამბებს, უნდა გითხრათ შემდეგი: ღრმად შეწუხებული ვარ იმის გამო, რომ საჭიროდ დაინახეს ამოდენა სისხლის დაღვრა; მე შეურიგებელი მოწინააღმდეგე ვარ ძალ მომრეობისა და ვსწუხვარ, რომ მან მიჰმართა ჯარმა, რომელსაც ბევრად უფრო კეთილშობილი დანიშნულება აქვს, ვიდრე მკვლელობა. სრულებით საკმარისი იყო ტახტზე უარი ეთქმევინებინათ ალექსანდრესათვის და პირობა ჩამოერთმიათ, რომ არავითარ ღონისძიებას არ იხმარდა ტახტის დასაბრუნებლად. სისხლის ღვრა უსაშინელესი რამ არის.

თქვენა გსურთ გაიგოთ, თუ როგორი იქნება ჩემი მდგომარეობა, როცა მეფის გვირგვინს მივიღებ? მაგრამ ჯერ ხომ მეფე არ ვარ! ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული იყავით, რომ, თუ მეფედ მიმიწვიეს, ჩემი ჩამგონებელი და მრჩეველი იქნება შვეიცარიის საკვირველი დაწესებულებანი. ბევრი რამ ვისწავლე აქ, ამ სტუმართ-მოყვარე ქვეყანაში. მე მომხრე ვარ მწერლობის სრულ თავისუფლებისა და იმედი მაქვს დავინახო სერბია აყვავებული 1888 წლის ლიბერალურ კონსტიტუციის რეჟიმის დროს".

გერმანია. „რუსეთის დეპეშათა სააგენტომ" მხოლოდ ერთი დეპეშა მოიწერა გერმანიის საპარლამენტო არჩევნების შესახებ და ისიც ისე შედგენილი, რომ კაცი ვერაფერს გაიგებდა. მას შემდეგ სააგენტო სდუმს და არას გვატყობინებს, ალბად იმიტომ, რომ მას უფრო საინტერესოდ და საყურადღებოდ მიაჩნია „ბარდიანსკის საკურსო დაწესებულების გახსნა", ვიდრე ისეთი „პატარა" მოვლენა, როგორიც გერმანიის არჩევნები. ამიტომ იძულებული ვართ სატახტო ქალაქთა გაზეთების მოსვლას ვუცადოთ.

„რუსკი ვედომოსტი"-ს კორესპონდენტი იტყობინება შემდეგს:

„ბერლინი, 4 ივნისი, დილის 11 საათი. რეიხსტაგის არჩევნების ეხლანდელი შედეგი გვიჩვენებს, რომ დიდძალი ხმა მოემატა სოციალ-დემოკრატებს და მოაკლდა თავისუფალ მოაზრეთ და აგრარიებს. ამომრჩევლები ენერგიულ მონაწილეობას იღებენ არჩევნებში. 317 არჩევანიდან ჯერ ვიცით მხოლოდ ორასის შედეგი, მეტწილად ქალაქებში. ბერლინმა აირჩია ხუთი სოციალისტი დიდის უმრავლესობით. მეექვსე სოციალისტმა (არონსი) ხელ-ახლად უნდა იყაროს კენჭი თავისუფალ მოაზრესთან. ანტისემიტები და კონსერვატორები ძალიან დამარცხდნენ. ბერლინში კენჭის ყრაში მიიღო მონაწილეობა 331 ათას ამომრჩეველმა. ამათგან 216 ათასმა ხმა მისცა სოციალისტებს, 60 ათასმა თავისუფალ მოაზრეთ და 55 ათასმა დანარჩენ პარტიებს. აქამდე არჩეულია 39 სოციალ-დემოკრატი; 42-მა ისევ უნდა იყაროს კენჭი. მთელ საქსონიაში არჩევნები სოციალ-დემოკრატიის სასარგებლოდ გათავდა. გაგენის ოლქში, სადაც სულ რიხტერს ირჩევდნენ, მხცოვანი დეპუტატი იძულებული გახდა ხელ-ახლად იყაროს კენჭი სოციალ-დემოკრატიის კანდიდატთან ერთად. ბებელი ჰამბურგში და ფოლმარი მიუნხენში დიდის უმრავლესობით აირჩიეს. ფრანკფურტსა და კენიგსბერგში იმარჯვებენ ბიურგერები. სოციალ-დემოკრატიის წინანდელი წარმომადგენლები კი დამარცხდნენ ხელ ახალ არჩევნების დროს. თავისუფალ ვაჭრობის მომხრეთ ძალიან გაიმარჯვეს აღმოსავლეთ პრუსიის ოლქებში. ბერლინელ ამომრჩეველთაგან მონაწილეობას იღებს არჩევანში 75 პროცენტი.

ბერლინი, 4 ივნისი, 1 საათი. 330 არჩევანის შედეგი ვიცით: საერთო სურათი გამოირკვა, თუმცა ხელ ახალ არჩევნებს ბევრის შეცვლა შეუძლია. ნამდვილი აგრარიები საშინლად დამარცხდნენ; მათი მეთაურები— რეზიკე, განი და ერტოლი გააშავეს. არჩეულია 53 სოციალ-დემოკრატი; ხელ-ახალ არჩევნებში კენჭს იყრის 117 სოციალისტი; საბუთია ვიფიქროთ, რომ რეიხსტაგში იქნება არა ნაკლებ 75 სოციალისტ დეპუტატისა. კონსერვატორების ორივე ფრაქციის წარმომადგენელთაგან არჩეულია აქამდე მხოლოდ 25. 12 ანტისემიტთაგან არც ერთი არ აურჩევიათ. ნაციონალ-ლიბერალები სხვაზე ნაკლებ დამარცხდნენ".

ახალი ამბავი

✦ გამგეობის მიერ შემუშავებული სავალდებულო დადგენილებანი **კვირა-უქმეობით შესვენების** შესახებ გუბერნატორმა გამგეობას დაუბრუნა ზოგიერთ ცვლილების მოსახდენად. ამის გამო გამგეობის წევრმა კოკჩაევმა მოამზადა მოხსენება. იმის აზრით, ზოგიერთი ცვლილება, გუბერნატორის მიერ აღნიშნული, არ შეიძლება განხორციელდეს, რადგან ეწინააღმდეგება კანონს. ასეთია, მაგალითად, მე-2 პარაგრაფი. ამ პარაგრაფში გუბერნატორმა შეიტანა, რომ ვაჭრობა აიკრძალოს აგრეთვე ტრანსპორტის კანტორებსა, საგაზეთო ფარდულებსა და სხვაგან. კოკჩაევის აზრით, ამგვარ დაწესებულებებში თვით-მმართველობას არ შეუძლიან მუშაობის აკრძალვა. მესამე პარაგრაფშიაც შეიტანა გუბერნატორმა ცვლილება. ამ პარაგრაფის ძალით, უნდა აიკრძალოს მუშაობა სურსათის, სასმელისა და სხვა ამგვარ დუქნებში დილის 9 საათიდან. კოკჩაევი სწერს, რომ კანონთა მე-14 ტომის ძალით, ამგვარ დაწესებულებებში არ შეიძლება მუშაობის აკრძალვა. შემდეგ გუბერნატორს საჭიროდ მიაჩნია, რომ რესტორანებსა, ტრაქტირებსა, სასტუმროებსა და სხვაგან კვირა-უქმეობით დაწესდეს მორიგეობა, რომ ზოგს შინ წასვლა და დასვენება შეეძლოთ. კოკჩაევის აზრით, აქაც ქალაქის თვით-მმართველობებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ სავაჭრო დაწესებულებებში და გააწესრიგონ იქ მუშაობის დრო, თუმცა პრინციპიალურად კოკჩაევს საჭიროდ მიაჩნია მუშათა შესვენება. ამისათვის შუამდგომლობა უნდა აღიძრას.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრმა, როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, უბრძანა სამინისტროსთან არსებულ სატეხნიკო კომიტეტს დააჩქაროს განხილვა იმ პროექტისა, რომელიც ტფილისში განზრახულ **ელექტრონის რკინის გზას შეეხება.**

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობას განუზრახავს იშუამდგომლოს, რომ მუშტაიდში მიხეილის ქუჩის გაგრძელება თვით-მმართველობას გადაეცეს. გამგეობას ამის შესახებ უკვე შეუდგენია მოხსენება საბჭოში წარსადგენად. 10 წელიწადია, რაც განიზრახეს **დიდუბიდან კუკიამდე ახალის** ქუჩის გაყვანა. ჰფიქრობდნენ ამ ქუჩის გაყვანას ლორთქიფანიძის მიწაზე, მაგრამ იმან ბევრი მოითხოვა ამიტომ უნდათ შუამდგომლობა აღძრან ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, ნება მიეცეს ქალაქს ძალით შეისყიდოს ქუჩისთვის ადგილები. რადგან ეს შუამდგომლობა დიდ ხანს გაატანს, გამგეობას უნდა ქუჩისთვის ზემო-დასახელებულ ხეივნით ისარგებლოს მუშტაიდში.

✦ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის **თვით-მმართველობა ხაზინას ედავება კარგა ბლომა ფულს** — სახელმწიფო სახლების დასაფასებელ გადასახადს. ეს საქმე ეხლა-ხან სენატის პირველ დეპარტამენტს განუხილავს და პრინციპიალურად გადაუწყვეტია, რომ თვით-მმართველობას ნება აქვს გააწეროს დასაფასებელი გადასახადი სახელმწიფო დაწესებულებათა სახლებს.

✦ ამ დღეებში ტფილისის საგუბერნიო სამკურნალო გამგეობამ მისწერა სიღნაღის მაზრის უფროსს გამოუგზავნოს ჰიაურის წყაროს წყალი გამოსაკვლევად. ამ ადგილებში **რუსების დასახლებას ჰფიქრობენ.**

✦ **სამტრედიიდან გვწერენ** „30 მაისიდან 6 ივნისამდე აბრეშუმის პარკის ფასმა 19 მან. 50 კაპ. აიწია. ვაჭრები დიდ ფაცა-ფუცში არიან: მომართეს დაჟანგებული სასწორები და სხვა-და-სხვა ადგილას დაიდეს ბინა. თვალყურის მგდებელი არავინ არის, ამიტომ ვაჭრები, როგორც უნდათ, ისე სწონავენ პარკს".

✦ **სოხუმიდან გვწერენ:** „2 ივნისს მოხდა ქალაქის ახალ საბჭოს კრება. ამ კრებაზე აარჩიეს საბჭოს თავმჯდომარე იმ შემთხვევისათვის, როდესაც ქალაქის მოურავს თავმჯდომარეობა არ შეუძლიან, და სხვა-და-სხვა კომისიის წევრნი. ქალაქის მოურავისა, გამგეობის ორის წევრისა და მდივნის არჩევნები მოხდება 23 ივნისს.

✦ როგორც გავიგეთ, ტფილისის **ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროსი** თანამდებობას თავს ანებებს".

✦ დღეს, 10 ივნისს, ტფილისში მოელიიან **მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს** თავ. ტრუბეცკოის. დღეს საღამოთი ქართველი თავად აზნაურობა სადილს გაუმართავს.

✦ 11 ივნისისათვის **დანიშნულია კრება** უსინათლოთათვის მზრუნველ საზოგადოებისა. კრება მოხდება ნაშუადღევის 2 საათზე, გენ.-ლეიტ. ა. ა. ფრეზეს სადგომში.

✦ ფინანსთა სამინისტრომ შეუძლებლად სცნო, ნება დართოს ტფილისს გამოსცეს ახალი ნიმუში ქალაქის **მესამე სესხის ობლიგაციებისა** (ეს სესხი 800,000 მანეთისაა) იმ დრომდე, ვიდრე არ იპოვნიან ქალაქის კასიდან მოპარულ ძველ ნიმუშების ობლიგაციებს.

✦ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავმა მოსთხოვა ტეხნიკოსებს **ცნობები ქუჩების მოკირწყვლის** შესახებ. უნდა აცნობონ, რომელი ქუჩა იკირწყლება ახლად, რომელს უნდა მხოლოდ შეკეთება და სხვა.

✦ როგორც განჯიდან გვატყობინებენ, ადგილობრივ ქალაქის საბჭოს გადაუწყვეტია, ერთ კერძო კაცს ნება დართოს გამართოს შუა ქალაქში ელექტრონის სადგური სახლებისა და ქუჩების გასანათებლად.

✦ გუშინ, 9 ივნისს, ნავთლუღის ხიდთან მტკვარში გადავარდა ვიღაც უცნობი კაცი.

✦ მეორე მომრიგებელ - მოსამართლესთან ამას წინად გაირჩა საქმე ჩარექოვისა. ჩარექოვი ქალაქის ხორცის დუქანში მსახურებდა და უჩიოდა დუქნების გამგეს აღიხანოვს 250 მანეთს, ხუთის თვის ჯამაგირს. მოსამართლემ საქმე არ გადასწყვიტა და საჭიროდ სცნო ახალ მოწმეთა დაბარება.

✦ როგორც სიღნაღის მაზრის სოფ. გურჯაანიდან გვატყობინებენ, იქ შემდეგი ბოროტ-მოქმედება მომხდარა. ამ სოფლის მცხოვრებნი ივანე

როგორც ამტკიცებენ თანამედროვე ანტროპოლოგები, უთანხმოება ანტროპოლოგიურ აუცილებლობას შეადგენს, რადგან ადამიანის გონება 30—35 წლის შემდეგ ძლიერ აშვიათად ითვისებს რაიმე ახალ აზრს და ამიტომ ამ უთანხმოების საქმეში, სოციალურ პირობებს რომ დავანებოთ თავი, ზემოდ მოყვანილი კანონიც დიდ როლს თამაშობს. მაგრამ არა გვჯერა, რომ ეს უთანხმოება უშლიდეს მშრომლებს მოზარდ თაობის სულიერ მოთხოვნილების გაგებას, აბრკოლებდეს ამ თაობის რაციონალურ აღზრდის საქმეს. ეს უნდა აიხსნას მხოლოდ შეუგნებლობით, უვიცობით. განა არ შეეძლო კრამერს დაეახლოვებინა თავისი შვილი? ამისათვის საკმაო იყო პატივისცემა გამოეჩინა, მეტის სიყვარულით მოეპყრობოდა მის ნაზ მგრძნობიარე ბუნებას. ამის მაგივრად კრამერი აშინებდა შვილს. ამ უკანასკნელმა ბოლოს თავიც მოიკლა. ასე ტრაგიკულად თავდება ამ ნაირ პირობებში ადამიანის ისედაც მოკლე ცხოვრება...

არა ნაკლებ საყურადღებოა დრამა „მეეტლე ჰენშელი", რომელშიაც მშვენივრადაა დახატული სუსტის ხასიათის ადამიანის მდგომარეობა და რომლის შინაარსი აღებულია სულ უბრალო ადამიანთა ცხოვრებიდან. ამ პიესიდან ვიგებთ, რომ უბრალო ადამიანთა ცხოვრებაშიაც ბევრი რამ ხდება ისეთი, რაც ღირსია დრამატურგის კალმისა, რის ცოდნაც ჩვენთვის ფრიად საჭიროა. მეეტლე ვილჰელმ ჰენშელს ჰყავს ავადმყოფი ცოლი და პატარა ბავშვი. ცოლი ძლიერ ავად არის და ეს არის უნდა მოკვდეს. მის სიკვდილს აჩქარებს ერთი გარემოება: ჰენშელსა ჰყავს მოსამსახურე ქალი, ლამაზი, მაგრამ ბოროტი განნა. ჰენშელის ცოლი ჰფიქრობს, რომ იმის ქმარს ამ მოსამსახურე ქალთან აქვს საქმე და ძლიერ ჯავრობს. სიკვდილის წინ ევედრება ქმარს, ნუ შეირთავ იმ ქალს ცოლადაო. ჰენშელიც თანხმდება და ფიცს აძლევს, რომ არასოდეს არ შევირთავ განნასაო. გავიდა ცოტა ხანი ცოლის სიკვდილის შემდეგ. განნა თან-და-თან უახლოვდება თავის მიზანს, თან-და-თან იპყრობს ჰენშელის ყურადღებას. განნა ლამაზი და ამასთან მხნე ქალია. შეუძლია განუწყვეტლივ მუშაობა. ეს გარემოება ხელს უწყობს. ჰენშელი ცოტა ხანს კიდევ ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს გადასწყვიტა განნას შერთვა. ამ ნაირად განნა ფრაუ-ჰენშელად ხდება. როგორც მოსალოდნელი იყო, განნამ ყველაფერი ხელში ჩაიგდო, ჰენშელსაც ამოსდვა ლაგამი. ჰენშელი მისი ყურ-მოჭრილი მონაა; განნას წყალობით ბევრი მეგობარი მოშორდა ჰენშელს, სიცოცხლე გაუმწარდა, რადგან განნა მუდამ ილანძღება, ერთ ტკბილ სიტყვას არ ეუბნება ქმარს. მალე პირველ ცოლის შვილი, გუთსლიც გარდაიცვალა. ამ შემთხვევამ კიდევ უფრო დაალონა ჰენშელი, უფრო გააუბედურა. ეჭვი ებადება, ვაი თუ გუთსლის სიკვდილი განნას ბრალია, ვაი თუ ამ ბოროტმა დედაკაცმა გაისტუმრა ასე ჩქარა საიქიოსკენ პატარა ბავშვი.

მაგრამ ჰენშელი მაინც ჰფიქრობს, რომ განნა მალე გამოიცვლის ხასიათს. განნას გასასწორებლად მოჰყავს იმას თავის სახლში განნას ქალი ბერტა, რომელიც იმის ცოლის მამასთან სცხოვრობდა და რომელიც ამ უკანასკნელთან დადიოდა რესტორანებში და ძლიერ იტანჯებოდა. ფრაუ-ჰენშლს ეს ძლიერ ეწყინა, რადგან ახლა, იმის აზრით, ყველა დაიწყებს ამ ბავშვის შესახებ ლაპარაკს, რადგან ყველას ეცოდინება, რომ იმას ქალიშვილობის დროსაც ჰყავდა შვილი. ამიტომ ჰლიერა ჯავრობს და თავის ჯავრს ბავშვზე იყრის. უწყრება, სცემს, არ ულის და ცდილობს როგორმე დაუბრუნოს ბერტა თავის მამას. ამ გარემოებამ კიდევ უფრო გააშმაგა ჰენშელი. განნა ამას არა სჯერდება, იმან საყვარელიც გაიჩინა, რაც მეეტლეს ბევრმა ნაცნობმა იცის. ჰენშელიც ტყობილობს ამას და, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო უბედურად სთვლის თავის თავს. ჰქენჯნის სინიდისი, ვერ აასრულა ფიცი, სწუხს, რომ დაპირების წინააღმდეგ შეირთო ცოლად განნა, სწუხს, რომ გუთსლი გარდაიცვალა დაუდევრობით. ის მუდამ თავის პირველ ცოლს და შვილს ჰხედავს, მუდამ იმათ შესახებ ჰფიქრობს, ყველგან ისინი ელანდებიან. განნას კი ვერაფერი ვერ მოუხერხა, რადგან ჰენშელი სრულიად დაიმორჩილა ცოლმა. თითქმის ყველა ძველ ნაცნობს დაშორდა მეეტლე და ეს გარემოება არა ნაკლებ აწუხებს. ბოლოს ჰენშელი თავს იკლავს. ამნაირად იღუპება სუსტის ხასიათის ადამიანი. ჰენშელი, რომელიც სრულიად დაიმორჩილა ვერაგმა ადამიანმა, იღუპება, რადგან სინიდისი არ აძლევს მოსვენებას, რადგან ჰგრძნობს, რომ საცოდავ მდგომარეობაშია, რომ საშინლად ატყუებენ, რომ იმისი ცოლი საზიზღარი არსებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ვერაფერსა ჰბედავს ცოლის წინააღმდეგ. ჰენშელი, რომელიც ერთ დროს, ე. ი. მაშინ, როდესაც პირველი ცოლი ცოცხალი ჰყავდა, ბედნიერად სცხოვრობდა, თანდათან წინ მიდიოდა, დამოუკიდებლად მოქმედებდა, ახლა სრულიად უბედურია, ეს სხვისი მონაა, სხვისი ყმაა. ასეთ მდგომარეობას ვერ ურიგდება და თავს იკლავს.

ადამიანის ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა კარგადა აქვს დახატული ჰაუპტმანს ერთ თავის მოთხრობაში, რომელიც ძლიერ ჰგავს შინაარსით ამ დრამას. მოთხრობაში, როგორც დრამაში, ერთი და იგივე აზრია გატარებული. აქაც უბრალო ადამიანებთან აქვს საქმე ავტორს. ამ პიესიდანა სჩანს, ჩვენ დრამატურგს ძლიერ ეხერხება უბრალო ადამიანთა ცხოვრების აღწერა და ამ ცხოვრების ტრაგიკულ მომენტების დასურათება. ამ მხრივ, როგორც წინადაც შევნიშნეთ, ჰაუპტმანი ყველაზე მაღლა სდგას. ამ მხრივ იმას ტოლი არა ჰყავს მართლაც. ვინ იფიქრებდა, რომ ვიღაც მეეტლეს აწუხებს სინიდისი, მეეტლესაც ჰსურს ადამიანურად ცხოვრება, მასაც სწადიან დამოუკიდებლად მოქმედება. იმისი ცხოვრება არ არის მხოლოდ ანგარიშზე დამყარებული. ვინ იფიქრებდა, რომ მეეტლე თავს მოიკლავდა იმიტომ, რომ ვერ შესძლო მონობის ატანა, რომ გარყვნილი ცოლის საზიზღარმა მოქმედებამ საშინლად დასტანჯა.

ჰაუპტმანის ინდივიდუალურ ფსიხოლოგიის პიესათა შორის საყურადღებოა აგრეთვე ორი კომედია „კოლლეგა კრამპტონი" და „წავის ქურქი". პირველში დახატულია ლოთ მხატვრის გარრი კრამპტონის ცხოვრება. კრამპტონი აკადემიაში მსახურებს, მაგრამ ლოთობის გამო აკადემიის მთავრობამ დაითხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაკვიაშვილი და ნათაძე გადამტერებულნი ყოფილან. ამას წინად ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც რაკვიაშვილს უძვრია ხანჯალი და ისე ძლიერად დაუკრია ნათაძე მუცელსა და თავში, რომ იგი რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაცვლილა. რაკვიაშვილი დაუპატიმრებიათ.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ შამლუხის მედუქნის კონსტანტინე ქეშიშევის მაღაზია გაუტეხიათ ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ და გაუტანიათ 155 მან. 80 კაპ. საქონელი.

◆ გუშინ გასჭრეს გვამი სასნოვსკისა, რომელიც 7 ივნისს „მუხრანის ნომრებში“ ჰნახეს ჩამოხრჩობილი. დაესწრო ბრალმდებლის ამხანაგი.

◆ სიღნაღიდან გვატყობინებენ: ამას წინად გიორგი ფარსადანოვი რაღაც ნივთებისა გამო წაეჩხუბა სიღნაღის მცხოვრებს ანასტასია ნიკოლაშვილისას. ჩხუბში ჩაერია ნიკოლაშვილის 14 წლის ვაჟი ნიკოლოოზი, რომელმაც ფარსადანოვს უკანიდან ისე ძლიერ ჩაჰკრა ორჯელ დანა, რომ ფარსადანოვი რამდენისამე ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

რუსეთის ქრონიკა

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს განუზრახავს მომავალ წლიდან სრულიად გადააკეთოს სამეურნეო დეპარტამენტი.

◆ კიევის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია: „კიევის, პოდოლისა და ვოლინის გენერალ-გუბერნატორმა გენ.-ად. დრაგომიროვმა განიხილა საქმე იმ უწესოებათა შესახებ, რომელიც კიევში მოხდა 4 მაისს და დაადგინა: ადმინისტრატიულის წესით დაისაჯნენ ისინი, ვინც ამ უწესოებაში მონაწილეობა მიიღეს. სახელდობრ: 38 კაცი დაპატიმრებულ იქნას 3 თვით, 18 კაცი—2 თვით, 10 კაცი—ერთის თვით და 4 კაცი ორის კვირით. სულ 70 კაცი; აქედან 14 ქალია და 56 კაცი.

◆ ცნობილი პროფესორი პეტერბურგის უნივერსიტეტისა მარტენსი მომავალ წლიდან თანამდებობას თავს ანებებს. მარტენსი პეტერბურგის უნივერსიტეტში 1871 წლიდან კითხულობს ლექციებს, იგი საერთაშორისო უფლების დიდ მცოდნედ ითვლებოდა მთელს ევროპაში, მარტენსის მოადგილედ იქნება იმისი მოსწავლე, ბარონ ტაუბე.

◆ წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის მარტო იურიდიული ფაკულტეტი 314 სტუდენტმა დაამთავრა.

◆ პეტერბურგის სამთო ინსტიტუტი დაამთავრა 70 სტუდენტმა, ხოლო საისტორიო-საფილოლოგო ინსტიტუტი—33 სტუდენტმა.

◆ შემოდგომიდან პეტერბურგში არსდება ქალთათვის საბუნების-მეტყველო და სამეცნიერო კურსები. ამ კურსებზედ ქალებს მოამზადებენ სამკურნალო ინსტიტუტში შესასვლელად. კურსებს აარსებენ პროფესორი ვ. მ. შიმკევიჩი და ქ-ნი ა. ა. ლოხვიცკისა სკალონი. კურსი ორის წლისა იქნება.

პრესსა

„ვესტნიკ ევროპის“ შინაურ მიმომხილველი უკანასკნელ ნომერში ეხება ახალ კანონს, რომლის ძალითაც დასავლეთ გუბერნიებში შემოღებულ იქმნა გამარტივებული ერობა. ამ ერობის მნიშვნელობას ჟურნალი შემდეგის სიტყვებით აღნიშნავს: „თვალსაჩინო ცვლილებას საერობო მეურნეობაში ეს კანონი ვერ მოახდენს. მეურნეობა წინანდებურად ადმინისტრაციის ხელში რჩება“. ამ რიგად ერობა არც-კი ეწოდება იმ დაწესებულებას, რომელიც დასავლეთ მხრის გუბერნიებში შემოიღესო.

სამწუხაროა, განაგრძობს ჟურნალი, რომ სახელმწიფოს დიდი ნაწილი მოკლებულია იმ სიკეთეს, რომლის მოტანაც შეუძლიან ერობას, თუმცა იგი დიდად შეზღუდულ-შეკვეცილია.

* *

„სიბირ. ჟიზნ“-ში ჩამოთვლილია სოფლის მასწავლებლის პირდაპირი და არა პირდაპირი მოვალეობა.

მასწავლებელი—ლოტბარია ადგილობრივ ხოროსი. რამდენი შრომა და მხნეობა უნდება ამ საქმეს, რამდენი დრო იკარგება!

მასწავლებელი—წიგნთ-საცავის ან სამკითხველოს გამგეა. ამ საქმესაც კარგა დიდ დროს ანდომებს მასწავლებელი.

მასწავლებელი—ლექტორია. კვირა-უქმეობით სკოლისა ან სამკითხველოს სადგომში ჰმართავს სახალხო კითხვებს.

მასწავლებელი—კასსირია. სასკოლო შემნახველ-კასსების დაარსების შემდეგ მასწავლებელნი ამ კასსებსაც განაგებენ, რასაც აგრეთვე კარგა დიდი დრო უნდება.

მასწავლებელი—წევრი-კორესპონდენტია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა. სასოფლო-საზოგადოება არ ივიწყებს მასწავლებელს და ათას საქმეს ავალებს, უგზავნის საპასუხო ბლანკებს, მოწმობებს და სხვას.

მასწავლებელი—კომმისიონერია. ხშირად იგივე სამეურნეო საზოგადოება ავალებს მასწავლებელს სხვა-და-სხვა თესლეულის გაყიდვას.

მასწავლებელი — სანიტარია. იგი მოვალეა თვალ-ყური ადევნოს თავის ნაწილში სისუფთავეს. საქმე საპატიოა, მაგრამ ძნელად შესასრულებელი. რუსის გლეხი, რომელიც იბადება, სცხოვრობს და ჰკვდება ტალახში, იმდენად ეჩვევა და ეთვისება ამ ტალახს, რომ უსუფთაობა იმისი მემკვიდრეობითი სენი ჰხდება. ამ შემთხვევაში რა უნდა გააწყოს მასწავლებელმა?

ყველა ამისთვის, დასძენს დასასრულ ავტორი,

მასწავლებელს ეძლევა 25—30 მანეთი თვეში. გასაკვირველი არ არის ამის შემდეგ, თუ მასწავლებელნი დახლიდრებად მიდიან მაგარ სასმელების სახაზინო დუქნებში. მეორეს მხრივ არც ის იქმნება საკვირველი, თუ ამისთანა პირობებში მყოფი მასწავლებელი ვერც ერთ მოვალეობას ვერ შეასრულებს პირნათლად...

⁂

„ვესტ. ევროპი“ ეხება ლიტერატურისა და პრესსის მდგომარეობას.

უპირველეს ყოვლისა შეცდომად მიგვაჩნია თავისუფლების განსაზღვრა ლიტერატურისა და პრესსისათვის. პრესსა განუყოფელი ნაწილია ლიტერატურისა, ამიტომ ისეთსავე წესებს უნდა ემორჩილებოდეს, როგორსაც ლიტერატურა. როდესაც თავისუფალი არ არის პრესსა, ლიტერატურის არც სხვა ნაწილებია თავისუფალი. სწორედ რომ ვსთქვათ, ლიტერატურა არსად არაა სრულიად თავისუფალი, რუსეთის მწერლობა ხომ, მეტადრე მე-XIX საუკუნის ბოლოს, ძლიერ იყო შევიწროებული. მართლაც და ვინ არ იცის, რომ მთავრობა რამდენისამე წლის განმავლობაში არა თუ ტურგენევის „მონადირის წერილების“ მეორედ გამოცემის ნებას არ აძლევდა, თვით გოგოლის თხზულებათა გამოცემაც კი აკრძალული იყო? ვინ არ იცის, რომ, „ვაი ჭკუისაგან“-ს დიდ ხანს ვერც სცენაზე ადგენდნენ და ვერც ჰბეჭდავდნენ, თუ არა საშინლად დამახინჯებულს? ვინ არ იცის, რომ უბრალო მოთხრობის დაწერის გულისათვის სალტიკოვი რამდენიმე წლით ვიატკაში იყო გაგზავნილი? სიტყვა-კაზმული მწერლობა შედარებით უფრო კარგ მდგომარეობაშია, სინამ პუბლიცისტური მწერლობა. რომანისა და მოთხრობის დამწერს ისე ვერ ავიწროვებს ცენზურა, როგორც პუბლიცისტს, ამიტომ სიტყვა-კაზმულის მწერლობის შემწეობით ავტორები უფრო მეტის თქმას ახერხებდნენ ყოველთვის. მაგრამ მეორმოცე წლებში ისეთი სასტიკი ცენზურა შემოიღეს, რომ სიტყვა-კაზმული მწერლობაც ძალზე შეავიწროეს. საკმაოა გავიხსენოთ, რომ თვით ოსტროვსკისაც კი ეჭვის თვალით უყურებდნენ. განა შემდეგში კი არ მომხდარა, რომ სიტყვა-კაზმული ნაწარმოები აეკრძალოთ და მოესპოთ? განა მარტო დრო გამოშვებით პრესსის წინააღმდეგ იყო გამოცემული 1872 წლის კანონი, რომლის ძალითაც ჟურნალებისა და წიგნების საქმეს გადაწყვეტა სასამართლოს მაგიერ, ადმინისტრაციას მიანდეს? განა მეცნიერებასაც ესევე ბედი არა ჰხვდა წილად? გაზეთები ხომ უფრო შევიწროვებულიცაა.“

ჟურნალის აზრით, მარტო თავისუფალ პრესსას შეუძლიან სარგებლობის მოტანა:

„მხოლოდ თავისუფალ პრესსას მოაქვს ნაყოფი, მხოლოდ თავისუფალი პრესსაა გულ-წრფელი, მაშასადამე,—ძლიერიც. მხოლოდ დამოუკიდებელი პრესსა ასრულებს რიგზე თავის საქმეს; ასეთი პრესსა სანათელსა ჰფენს ყოველს საკითხს, შეცდომას ააშკარავებს და თანაც გზას უჩვენებს იმის გასასწორებლად...

ქართველ-ქალთა სამკერვალო სკოლა

კარგი სანახავი იყო კვირას, 8 ივნისს, დღისით, ქართველ ქალთა სამკერვალო-სკოლის დარბაზი. ამ დღეს გაიმართა აქტი. მკითხველებს, ეჭვი არ არის, ეცოდინებათ, რომ ეს რამდენიმე წელიწადია ქართველ ქალთა ერთმა ჯგუფმა გამართა ჭრა-კერვისა, ქსოვისა და, საზოგადოდ, ხელ-საქმის სახელოსნო. მსურველი იმდენი აღმოჩნდა, რომ სკოლა უადგილობისა გამო ბევრს უარსაც ეუბნება. სახელოსნოსთან სკოლაც არის, სადაც ასწავლიან სხვა-და-სხვა საგნებს. ყოველწლობით სკოლა-სახელოსნოს ათავებს 20—30 ქალი. კვირის დღესასწაულს 120 მოსწავლე ქალს გარდა დაესწრნენ გარეშენიც, ისე რომ სკოლის სამი ოთახი სავსე იყო ხალხით. პირველად წაიკითხეს ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, შარშან სამკერვალო სკოლაში იმყოფებოდა 120 მოწაფე ქალი, ამათგან 101 იყო სამის წლის კურსით, ხოლო 19 ერთის წლის. სწავლის ფულს ახდევინებდნენ 65 ქალს, მათგან 46—თვეში ერთ მანეთს, ხოლო 19-ს თვეში სამს მანეთს. სიღარიბისა გამო სწავლის ფულს არ ახდევინებდნენ 55 ქალს. წელს სამკერვალო სკოლა დაასრულა ადაბეგიშვილმა მართამ, ბარათაშვილმა ნინომ, ბერძნიშვილისამ სოფიომ, გუდისაშვილმა ელენემ, ერგემლიძემ ოლღამ, ელიოსიძემ დარიამ, ელიოზიშვილმა თამარმა, ელიშერაშვილმა მაგდანმა, თუხარელმა ოლღამ, კვიტკოვსკაიამ მარიამმა, კაიშაურმა ეკამ, კეკელიშვილმა ანნამ, მირზაშვილმა სოფიომ, მარანელმა ელისაბედმა, მურმანიშვილმა ეკატერინემ, მახარაძემ ბარბარემ, მაისურაძემ ეფემიამ, მაღალაშვილმა ეკამ, ნადირაშვილმა ანასტასიამ, ნადირანცმა ოლღამ, პეტრიაშვილმა ეფემიამ, რჩეულიშვილმა ნატალიამ, სხირტლაძე მარიამმა, სუხიტაშვილმა ოლღამ, სტეფანიშვილმა მარიამმა, ფურცელაძე მარიამმა, ფურცელაძე ანნამ, ქურდოვანიძე ნინომ, ყანდიონოვმა მარგარიტამ, შათვაქიძე ანნამ, წიგნაძე ანნამ, ხრამოვიცკაია ნადეჟდამ, ჯაჭვაძე ნინომ, ჯაბადარმა ოლღამ და ცერაძე ნინომ.

საანგარიშო წელს სწავლის ფული შესულა 684 მან. 40 კაპ., სამკერვალოს შემოსავალი—1367 მან. 42 კაპ., საწევრო—16 მან., წარმოდგენისა—402 მან. 5 კაპ. თავად-აზნაურთაგან—600 მან. გ. ი. სარაჯიშვილისაგან—270 მან., ნ. ბ. დოდობერიძისაგან—150 მან., მ. კ. ზუბალაშვილისაგან—100 მან. სულ—3589 მან. 87 კაპ. დახარჯულა 2762 მან. 94 კაპ.

ანგარიშის მოსმენის შემდეგ მოსწავლე ქალებმა წაიკითხეს ლექსები რუსულად და ქართულად. ზოგმა მკაფიოდ და კარგად წაიკითხა, განსაკუთრებით ქართულად. მონადირიშვილის დირიჟორობით მოსწავლე ქალთაგან შემდგარმა გუნდმა მშვენივრად შეასრულა ქართული სიმღერები. სწავლა-დასრულებულთ დაურიგდათ მოწმობები და წიგნები. დასასრულ იმათ, რომელთაც სწავლის ფული არ ხდებოდათ, დიდი მადლობა გამოუცხადეს გამგეობას. გამგეობამ თავის მხრივ მადლობა გამოუცხადა ქ-ნთ ფურცელაძისას, დანილოვსკისას, ბ-ნთ დ. ქართველიშვილს, ს. მაღალაშვილს, მონადირიშვილს, მღვდელს მაჭარაშვილს და სხვებს, რომელნიც უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ და აწიც აღუთქვეს დახმარება მოსწავლე ქალთა სწავლების საქმეში.

სკოლის დარბაზში გამოფენილი იყო მოსწავლე ქალთა მიერ დამზადებული ხელსაქმე და მსურველნი ყიდულობდნენ კიდეც.

ვა, მევალეებმა გაუყიდეს ყველაფერი და ცოლმაც თავი მიანება. თუმცა აკადემიის შესახებ კრამპტონი ცუდის აზრისა, თუმცა აკადემია, იმის თვალში, იგივე საპოლიციო დაწესებულებაა, სადაც მუდამ თავის დამცირება და თავისი „მე“-ს უარისყოფაა. მაგრამ კრამპტონს მაინც სწყენია აკადემიის მოშორება. კრამპტონი იძულებული გახდა სამუდამოდ მიეტოვებინა აკადემია, ოჯახი და ერთ რესტორანში დამდგარიყო. იმისი ქალი გერტრუდა წაიყვანა იმისმა ყოფილმა მოწაფემ ახალგაზდა მხატვარმა მაქს შტრელერმა, რომელსაც უყვარს იგი. კრამპტონს გაუყიდეს სახელოსნო და, საზოგადოდ, ყველაფერი, რაც კი იმისთვის ძვირფასი იყო. მაქსმა იყიდა მევალეებისაგან კრამპტონის ნივთები, იქირავა ცალკე სახლი, მოაწყო სახელოსნო და ბოლოს, დიდის დავიდარაბის, შემდეგ იპოვნა რესტორანში კრამპტონი და წაიყვანა სახლში. შეჰხედა თუ არა კრამპტონმა თავის სახელოსნოს, გაჯავრდა, რადგან ეგონა, მაქსს უნდოდა იმის ადგილის დაჭერა. მაგრამ, შეიტყო რა მაქსის სურვილი, ძლიერ გაუხარდა, დალოცა გერტრუდა და მაქსი და გადასწყვიტა თავის ახალ სახელოსნოში მუშაობა.

ასეთია ამ კომედიის შინაარსი. როგორცა ჰხედავთ, გამოყვანილია სულით და გულით მხატვარი, რომელიც სულ არა ჰფიქრობს ცხოვრების წვრილმან მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და რომლისთვისაც ხელოვნება წმიდათა წმიდაა. ის არა ზრუნავს ვალების გადახდის შესახებ, ლოთობს, რადგან ჰსურს დაივიწყოს ოჯახური უსიამოვნება, აკადემია, სურს, რაც შეიძლება, ნაკლები კავშირი იქონიოს გახრწნილ სინამდვილესთან. კრამპტონი ამის გამო უნდა დაღუპულიყო, მაგრამ იგი იხსნა მდიდარმა მოწაფემ. თუმცა პიესის მთავარი იდეა დიდს არაფერს წარმოადგენს, მაგრამ სცენაზე იგი დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და ამიტომაც ხშირად არდგენენ გერმანიაში.

„წავის ქურქი“ სატირიული პიესაა, შინაარსი აღებულია ქურდების ცხოვრებიდან. ამ კომედიაში მშვენივრადაა დახატული პოლიციის უფროსი ვერგანი, რომელიც ყოველ წამს იმას ამბობს, რომ უნდა მოვსპო ჩემ ქალაქში მეფის მოწინააღმდეგენიო. ამბობს, რომ მე დიდ სამსახურს ვუწევს სამშობლოსაო. ვერგანი დიდის აზრისაა თავის თავზე. თავის თავს საზოგადო მოღვაწეს უწოდებს. დარწმუნებულია, რომ დიდი სარგებლობა მოაქვს, ადგენს გეგმებს მოქმედებისათვის, უნდა შეიტყოს ვინ ლაპარაკობდა ან მოქმედებს სხვანაირად მთავრობის წინააღმდეგ, უნდა მოსპოს „ხალხისათვის მავნე“ სოციალისტები, თავისუფლება და სხ. მაგრამ უბრალო ქურდსაც ვერ ჰპოულობს. ამ გამოჩერჩეტებულ პოლიციელს ჰსურს ლაგამი ამოსდოს მოქალაქეებს, ჯავრობს, რომ იმისი წინამოადგილე გულ-ცივად ასრულებდა მოვალეობას, მაგრამ ნამდვილად კი უბრალო ფრაზიორია და თავისი პატარა როლის ასრულებაც ვერ მოუხერხებია. მშვენივრადაა დასურათებული აგრეთვე ქურდების ოჯახობა—ვოლფები. ჭკვიანი, გამბედავი და მხნე ფრაუ ვოლფი, რომელიც სიღარიბის გამო იძულებულია ქურდობას მიჰმართოს და რომელიც ისე ახერხებს ამას, რომ ვერავინ ტყობილობს. იგი ამასთან მრეცხავად არის პოლიციის უფროსთან. კომედიის უმთავრესი მომქმედი პირი ესაა, ეს არის. ის ატყუებს თავის ქალს ადელგეიდას, რომელიც მსახურებს მოხუც კრეიუგერთან (ამ უკანასკნელს მოჰპარა ფრაუ ვოლფმა შეშა და წავის ქურქი), ატყუებს ვერგანს, კრიუგერს და სხ. იმას არავისი არ ეშინიან, დარწმუნებულია, რომ ვერავინ ვერ შეუტყობს, ამიტომ არხეინადაც არის და არავითარ ყურადღებას არ აქცევს გამოჩერჩეტებულ ქმარს. ისე თამამად და მოხერხებულად მოქმედებს, რომ სულელმა ვერგანმა და იმისმა დამქაშებმა ქურდი ვერ აღმოაჩინეს და ამნაირად ფრაუ ვოლფი გამარჯვებული გამოდის ვერგანის ოთახიდან. სახლის პატრონი კრიუგერი კი, რომელსაც მოჰპარეს შეშა და ქურქი, ჩივილს აპირებს უმაღლეს მთავრობასთან, რადგან ატყობს ვერგანს მიკერძოებულ მოქმედებას, ის კი არ იცის, რომ ვერგანს უქკუობით მოსდის ყველაფერი. ვერგანმა თავის მიზანს ვერ მიაღწია და ექიმ ფლეიშერის გადასახლება ვერ მოახერხა, რადგან გადამწერმა ცრუ მოწმეების შოვნა ექიმის წინააღმდეგ ვერ შესძლო. ვერგანის ერთგულება მეფის მიმართ იქამდის მიდის, რომ საკუთარ ოთახშიაც არ ალაპარაკებს მოქალაქეებს, ჰსურს, რომ იქაც არ დასძრან სიტყვა არსებულ წყობილების წინააღმდეგ, სურს, რომ ოთახშიაც მოკვეცილი ჰქონდეს ადამიანს ფრთები, ოთახშიაც ადიდოს იმან მტერი. მაგრამ იმისმა მეცადინეობამ ამაოდ ჩაიარა.

როგორც ვთქვით, ეს პიესა სატირიულია და საუცხოვოდ გვისურათებს ჭკუით თხელ ადამიანთა მოქმედებას. სასაცილონი და საზიზღარნიც არიან თანამედროვე დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სასაცილონი არიან სხვანიც, როგორც, მაგალითად, კრიუგერი, ვოლფი (ქმარი) და სხ. ამიტომაც ეს პიესა, როგორც სატირული ნაწარმოები, დიდ სიამოვნებას ჰგვრის მკითხველს.

ამ რიგად ჰაუპტმანი ინდივიდუალურ ფსიხოლოგიის პიესებში მშვენივრად ახასიათებს ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რომ ამგვარი პიესები საუცხოვო სურათებია თანამედროვე საზოგადოებაში გამეფებულ ოჯახურ განწყობილებისა. ამავე პიესებში ჰაუპტმანი გვიჩვენებს განწყობილებათა სრულ უვარგისობას და მით ნათლად გვიმტკიცებს ამ განწყობილებათა შეცვლის საჭიროებას. ამ შემთხვევაში ჰაუპტმანი რევოლიუციონერია, რადგან გვითითებს ახალ საზოგადოებაზე, ახალ ცხოვრებაზე. ამიტომ ინდივიდუალურ ფსიხოლოგიის პიესებში ისეთივე უმთავრესი აზრია გატარებული, როგორიც უკვე განხილულ სოციალურ დრამებში. ეს აზრი მკითხველმა უკვე იცის. ჩვენ ვცხოვრობთ მხოლოდ განთიადის წინ. ეხლანდელ საზოგადოებაში მაგრად გაუდგამს ფესვი საშინარ ექსპლოატაციას. იგი გაბატონებულია როგორც ეკონომიურ ცხოვრებასა, ისე ადამიანის გონებრივსა და ზნეობრივ სფეროში. ბურჟუაზიული ოჯახი, ბურჟუაზიული სიყვარული, ჰაუპტმანის აზრით, ანგარიშზეა დამყარებული, ეხლანდელი განწყობილება მამებსა და შვილებს შორის მტარვალურია, ერთის სიტყვით, თანამედროვე ოჯახი ძალმომრეობასა და უსამართლობაზეა დაფუძნებული, ამიტომ საჭიროა შეიცვალოს.

ეხლა კი გავარჩევთ ჰაუპტმანის საუკეთესო თხზულებას—სახელდობრ—სამეოლიურ პიესებს „დაძირულ ზარს“ და „ჰანნელეს“.

იგ. რამიშვილი

(შემდეგი იქნება).

წერილი ონიდან

სიღარიბე.—სამკითხველო.—სცენის-მოყვარეთა დასი.—ბაღი.

ონში ქართველები, სომხები და ებრაელები სცხოვრობენ. ჩვენ დაბაში ძალიან ხელმოკლე ხალხია. თუ მოიპოვება ორიოდე შეძლებული, ისიც ებრაელია, რომელნიც დანარჩენ მცხოვრებთ არაფერში მხარს არ აძლევენ. სწორედ ამ მიზეზისა გამო, ონი, მგონი, ვერასოდეს ვერ ეღირსოს სამაზრო ქალაქად გადაქცევას. გვაქვს ერთ-კლასიანი ქალების სასწავლებელი, ორ-კლასიანი ნორმალური სასწავლებელი და ახლო მომავალში გვექნება სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელიც, რომლის პროექტიც სამინისტროში წარდგენილი დასამტკიცებლად. ბევრსა სცდილობს ჩვენი მაზრის უფროსი თავ. გ. დ. ლეონიძე. სხვათა შორის, იგი დახმარებას უწევს ჩვენს ღარიბ წიგნთ-საცავ-სამკითხველოს. იმისი მეუღლე კნ. კ. ა. ლეონიძისა ხშირად ჰმართავს ხელის მოწერას ონის ღარიბების დასახმარებლად. ამას წინათ, მასწავლებელ გ. ქ. დობჯანიძის თხოვნით, გამართეს ხელის მოწერა ონის ორ-კლასიან სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ, ცოტა ოდენი ფული შეაგროვეს და გადაარჩინეს რამდენიმე მოსწავლე სწავლის ფულის შეუტანლობის გამო სასწავლებლიდან დათხოვნას. იმათისავე მეთაურობით შესდგა საზოგადოება, რომელიც აპირებს ამ ზაფხულს სახალხო კითხვების გამართვას ქართულს და რუსულს ენებზე.

გვყავს აგრეთვე სცენის მოყვარეთა პატარა დასი, რომელიც თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც ჰმართავს საქველ-მოქმედო აზრით წარმოდგენებს; ხალხი სიამოვნებით ესწრება და ბევრნი სოფლებიდანაც ჩამოდიან. კარგი იქნება, რომ წარმოდგენები თვეში ერთხელ მაინც იმართებოდეს, რადგან სხვა გასართობი ონელებს არა გვაქვს. ონის სამკითხველო გაღებულია მხოლოდ სადამოობით 7 საათიდან 9 საათამდის და ამიტომ სოფლიდან ჩამოსულთ არ შეუძლიანთ ისარგებლონ. ურიგო არ იქნება, სამკითხველო პარასკეობითაც (ბაზრობას) იყოს გაღებული დილიდანვე.

კინაღამ დამავიწყდა! ონელებს გვაქვს აგრეთვე პატარა კოხტა ბაღიც, რომლის კარებიც მუდამ დაკეტილია ვებერთელა წითელი ბოქლომით და არასოდეს არ იღება, რადგან ეშინიანთ ღორები არ შეუპარნენ და ბაღი არ გააფუჭონ...

გუდჯა

წერილი ხევიდან.

მოსწავლეების გამოცდა.—სკოლების გამრავლება.—ამინდი.—უექიმობა.

30 და 31 მაისს დუშეთის მაზრის მეთვალყურემ, მცხეთის ბლაღოჩინმა და ადგილობრივმა მასწავლებლებმა მარკოზიშვილმა, ხოხელმა და კვაჭაძემ, გამოსცადეს სტეფანწმინდის სკოლის მოსწავლენი. გამოცდის დროს ბავშვებმა საკმაო ცოდნა გამოიჩინეს და კარგად აძლევდნენ ყველა კითხვაზედ პასუხს. ეტყობოდა, რომ მასწავლებლებს შრომა და ჯაფა არ დაეზოგათ. 2 და 3 ივნისს ამათვე გამოსცადეს სნოს სკოლის მოსწავლენი, კმაყოფილნი დარჩნენ და მასწავლებელ კვაჭაძეს მადლობა გამოუცხადეს შრომისთვის.

ხევშიაც შემოაშუქა ცოტათი სწავლა-ცოდნამ. საპატიო ადგილი საქმეში სკოლების გამრავლებასაც უჭირავს. აქამდის ხევში თუ ერთი სკოლა გვქონდა (სტეფანწმინდაში), ეხლა ბლაღოჩინ მღ. მ. ნ. კანდელაკის მეცადინეობით და შრომით დაარსეს ს. სნოსა, სიონსა, ყანობსა, კობსა და თრუსოში სამრევლო სკოლები, სტეფანწმინდასა და სნოს სკოლები გადააკეთეს ორ კლასიანად.

აქეთ გამუდმებული წვიმა და სიცივეა. მოსავალსაც ცუდი პირი უჩანს. აქეთ ქერის მეტი არა მოდის-რა. თქვენს მტერს, თუ ქერიც არ მოუვიდეთ ისედაც დაბეჩავებულ მოხევეებს. ამ ამინდს ზედ დაერთო სახადი, რაც ბევრს ასალმებს წუთი-სოფელს. აქ არ არის აფთიაქა, არ გვყავს ფერშალიც-კი. ას ოცის ვერსის სიშორეზედ არის მაზრის ექიმი; მოსვლით კიდეც რომ მოვიდეს, წამალი იმას თან არ მოაქვს, უწერავს ავადმყოფს რეცეპტს, რეცეპტი ავადმყოფის პატრონმა უნდა გაგზავნოს ტფილისში, სანამდე ტფილისიდან ავადმყოფს წამალი მოუვა, მანამ იგი საიქიოს მისვლასაც მოასწრებს. კარგი იქნება მთიელ ხევისთვის ერთი აფთიაქა გამართონ და, ექიმი თუ არა, ფერშალი მაინც დაინიშნოს.

ბ. დ.

წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ და გაუგზავნოთ ავადმყოფ არტისტ გ. ალექსი-მესხიშვილს მის სასარგებლოდ შეგროვილი 41 მან. 50 კაპ., რომელსაც ხელის მომწერთა სიით ამასთანავე გარდგენ. ი. მაისურაძისაგან—1 მან., ა. მამულაიშვილისაგან—2 მ., ს. მღინარაძისაგან—2 მან., გ. რატიშვილისაგან— 1 მ., ა. [illegible]—1 მ. ა. დოდუასაგან—3 მან., ი. არდაზიანისაგან—2 მ., გ. საყვარელიძისაგან—2 მ.. ი. ზურაბიშვილისაგან—1 მ., ი. ჯაბადარისაგან—1 მან., №—1 მ., ი. ბარათაშვილისაგან—2 მ., გეთაშვილისაგან—50 კაპ., გ. თურქესტანოვისაგან—2 მ., მღ. ი. ჩიკურისაგან—2 მ., დ. ლუმბაძისაგან—2 მ., თ. ნ. ცინცაძისაგან—1 მ., თ. ა. ჭავჭავაძისაგან —1 მ. დ. ქიქოძისაგან—1 მ., ს. სარაჯიშვილისაგან—1 მ., ს. ხუციშვილისაგან—1 მ., ა. გოცირიძისაგან—1 მ., გ. ჯაფარიძისაგან—2 მ., ა. ბახუტოვისაგან—2 მან., ნ. აბაზაძისაგან—2 მ., მღ. გუდიაშვილისაგან—50 კაპ., ი. კორინთელისაგან—1 მ., ი. ბასტიანოვისაგან—1 მან., ს. ყანჩელისაგან—1 მან, და გ. გაბიტაშვილისაგან—50 კაპ.

ს. მღინარაძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

პეტერბურგი. რუსეთის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა კოლონია პეტრეს სახელობისა დიდის ამბით აკურთხეს.

სესტრორეცკი. დაამზადეს ორი საზოგადო სახლი: ერთი აშენებულია გ. გ. კოლიკეს, მეორე—ა. ი. ვილბორგის ხარჯით. მიიღებიან შრომით დაღლილნი და მოხუცი მუშაკნი ბეჭდვითი საქმის.

ბიისკი. ერთბაშ გახსნა საქონლის გამოფენა. ექსპონატებს უმეტესად გლეხები გზავნიან. კომიტეტმა დაადგინა შემდეგი გამოფენა გამართოს მომავალ წლის ივნისში.

ვორონეჟი. სახალხო სახლის საძირკველი ჩაჰყარეს.

ჰელსინგფორსი. 7 ივნისს მოეწყო პირველი მოძრავი გამოფენა შინა მრეწველობისა. დიდძალი მნახველი მოდის. მცხოვრებნი დიდის ინტერესით შეეხვდნენ გამოფენას. დღე ნახევრის შემდეგ გამოფენა წყლით წაიღეს ახალ ადგილისაკენ.

პეკინი. ჩინეთის თურქესტანის გუბერნატორმა უმაღლეს მთავრობას წარუდგინა განსახილველად პროექტი თურქესტანიდან ჯარების გამოყვანისა ამ მხარის დასასახლებლად. გუბერნატორის აზრით, ამ საქმეს მოუნდება 1,000,000 ლანი. მთავრობას შეუძლიან ეს თანხა რომელიმე სახელმწიფოს ესესხოს. გუბერნატორი ამბობს, რომ რუსეთ-ჩინეთის ბანკი სიამოვნებით მისცემს სესხად ამ თანხას.

ბელგრადი. პოლკოვნიკი მიშიჩი ბელგრადის კომენდანტად დაინიშნა.

ბერლინი. უსაფუძვლოა ის ცნობა, ვითომ გერმანიას აზრადა აქვს უკანონოდ აღიაროს სერბიის ახალი წეს-წყობილება, ვიდრე მეფის მკვლელები არ დაისჯებიან. გერმანია ბელგრადში მომხდარს ამბებს ისე უყურებს, როგორც სერბიის შინაურს საქმეებს.

კონსტანტინეპოლი. რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გადიხადეს სერბიის მეფე-დედოფლის პანაშვიდი. პანაშვიდს დაესწრნენ ელჩი ზინოვიევი, საელჩოს წევრნი და სერბიის ელჩი გრუიჩი.

ბელგრადი. ქალაქისაგან მეფის მისალოცად არჩეულ დეპუტაციის უმეტესი ნაწილი და ბევრი სხვა მოქალაქე 8 ივნისს ჟენევაში გაემგზავრნენ მეფის დასახვედრად.

ბუხარესტი. სერბიის მეფე-დედოფლის გარდაცვალების გამო სასახლეში 14 დღით გლოვა არის გამოცხადებული.

ვენა. უნგრეთის კრიზისი. გრაფი ხედერვარი 8 ივნისს მესამედ იქმნა იმპერატორთან მოწვეული.

რომი. სამინისტროს კრიზისი გათავდა. ყველა მინისტრები ჯოლიტტის და ბეტტოლოს გარდა თავის ადგილებზედ დარჩებიან. ცანარდელი დროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს განაგებს, მორინი კი—საზღვაო სამინისტროს.

ჟენევა. მეფე პეტრემ მიიღო სერბიის საერო კრების დეპუტაცია. თავმჯდომარემ ველიმიროვიჩმა მეფეს სიტყვით მიჰმართა და გადასცა სხდომის ოქმი. მეფემ უპასუხა: „არ შემიძლიან გამოვთქვა, რა მადლობელი ვარ, რომ ჩემს წინაშე გხედავთ იმ გმირთა შთამომავლებს, რომლებმაც ჩემ გმირ-პაპასთან და სულგრძელ მამასთან ერთად საფუძველი დაუდეს სერბიის სამეფოს დამოუკიდებლობას“. ველიმიროვიჩმა მეფეს წარუდგინა დეპუტაციის წევრები. მეფე ყველაზე გულითადად გლეხებს მიესალმა, რომლებიც საერო ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილნი.

სოფია. ნაჩევიჩის დაბრუნების შემდეგ ხმა გავრცელდა სამინისტროს კრიზისის შესახებ. მთავრობის წრეები უარ-ჰყოფენ ამ ხმებს. მაკედონიიდან არა სასიამოვნო ამბები მოვიდა: მოკლულია რამდენიმე გამოჩენილი ჯართა წინამძღოლი და მოსპობილია რამდენიმე რაზმი. გამოჩენილი ჯართა წინამძღოლები დანრო და ჩერნოპეევი იძულებულნი შეიქმნენ ბოლგარიაში გაქცეულიყვნენ.

კონსტანტინეპოლი. 6 ივნისს სულთანისაგან აუდიენციაზე მიღებულ კალიცეს განცხადებამ საკმაოდ დაამშვიდა სულთანი. რადგანაც ავსტრო-უნგრეთი და რუსეთი თანხმად მოქმედობენ, ეხლა აღარავის აღარ ეშინიან იმისი, რისაც უწინ ეშინოდა: რომ სერბიის საქმეები არ აიწეროს და სიცარიელის გამოცვლას ცუდი შედეგი არ მოჰყვეს.

---

*) რედაქციამ მიიღო ეს ფული.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ჯაბადარი**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 7 ივნისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,85
ბერლინზე 100 მარკაში	—
პარიზზე 100 ფრანკში	—
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	$98^{3}/_{8}$ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	$100^{7}/_{8}$ მყიდვ.
$4^{1}/_{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. სადვ.-მამ. ბანკისა.	$95^{1}/_{4}$ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	446 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$340^{1}/_{2}$ „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$291^{1}/_{2}$ „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	$88^{1}/_{4}$ „
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა.	—
ტფილ. სადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	$91^{7}/_{8}$ „
$4^{1}/_{2}$% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
ქუთაისის სადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	189 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3).ს სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 03 წ. (2 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ტყიბულისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენჰაუზენისა და გჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი თვეში ღირს 12 მან. გამგე ექიმ ისაისტნოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.
2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

განცხადება

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს. (0—68)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი მოთხრობა—მელანიასი	—	20
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწული—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძ. მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	25

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.

ეს წიგნები იყიდება **ქუთაისში,** ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში, ბაღის ყურში.

Дозв. ценз. Тифлисъ, 9 Іюня, 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამ. ქართ. ამხ. (Электропеч. Груз. Издат. Т—ва)